# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 5 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდიკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი



დაიბეჭდა და ისყიდება

ტფილისში ა. ბ. ხიდიკელის მაღაზიებში, ქუთაისში ძმ. ჭილაძეთა მაღაზიაში და ზესტაფონს იორდანე ცერცვაძის მაღაზიაში:

## სამშობლო ენა

ანუ მასწავლებელი ქართულის ენისა და წერა-კითხვისა უშინსკის მეთოდაზე ახალ-მოსწავლე ყრმათათვის, შედგენილი მ. ახპატელოვის მიერ.

ფასი ექვსი შაური.

ვინც ათ ცალზე მეტს იყიდის, იმას დაეთმობა ცალზე თითო შაური.


ტფილისი, 18 აგვისტო

იმ დროს, როდესაც ზედი-ზედ, შეუწყვეტლივ, საქართველოის დაბა და სოფლებიდგან მოგვდის ამბავი მასზედ, რომ ჩვენი თავად-აზნაურობის ყმაწვილ-კაცობა უაზრო, უსაგნო ცხოვრებას მისდევს და მთელს თავის დროსა და შეძლებას ზომა-გადასულ სმა-ჭამას, ლოთობას და ყომარბაზობას ანდომებს, ესე იგი თავზე ხელს იღებს და უფსკრულისაკენ მიიზიდება, იმ დროს, როდესაც ჩვენ მოწამენი ვართ ჩვენის ცხოვრების ასეთის მავნე და უნუგეშო მდინარეობისა, ჩვენა ვხედავთ ერთს გარემოებასა, რომელიც იმდენად სასიამოვნო და სანუგეშოა, რამდენადაც არა სასიამოვნო და უნუგეშოა ჩვენის ყმაწვილ-კაცობის უაზრობა, უსაგნობა და თავზედ ხელ-აღებულობა. ეს მეორე მდინარეობა აზრისა და ცხოვრებისა ჩვენ შეგვიძლიან შევნიშნოთ მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და მიზიდულებაში. ჩვენ აღვნიშნავთ ამ ორს მდინარეობას ჩვენის ცხოვრებისას, რადგანაც იგინი ნათლად გვიხატვენ ჩვენის ცხოვრების ხასიათს, თვისებას, ღირსებას და ნაკლულევანებას...

თუ მკითხველი თვალ-ყურს ადევნებს ჩვენს გაზეთს და თვით ცხოვრებასაც, იგი უეჭველია უყურადღებოდ არ დასტოვებს იმ წერილებს და ამბებს, რომელთა მოამბენი გვაუწყებენ იმასა, თუ რამდენად მუყაითი, გამრჯელი და გონიერია ჩვენი გლეხ-კაცობა. ყველას შენიშნული გვაქვს, რომ იგი გლეხ-კაცობა თითქმის ყველგან ამ ჩვენს საქართველოში მტკიცედ სდგას საკუთარს ნიადაგზე, ღონივრად ჩასჭიდებია მიწას, მამულს და შეძლებისამებრ რიგიანად უძღვება ყოველ გვარს კერძო და საზოგადო ვალდებულებათა. იმ გლეხ-კაცობას შეუგნია, რომ მიწაა საძირკველი ადამიანთა კეთილ-დღეობისა, რომ იგია ყოველს გვარს სიმდიდრეზე უფრო საიმედო, მკვიდრი სახსარი ბედნიერების მოსაპოვებლად. ყველანი იმის მოწამენი ვართ, რომ იმ დროს, როდესაც რომელიმე თავად-აზნაური თავის ქერქში ვერ ეტევა და მამა-პაპის მონაგარს ხელიდგან უშვებს და სამუდამოდ ესალმება, იმ დროს გლეხი-კი არამც თუ სცდილობს რამე ნაირად გაუძღვეს საკუთარს მცირე მამულს, არამედ მოწადინებულია შეჰმატოს მას, შეიძინოს მიწა-წყალი, რამდენის შეძენასაც მოახერხებს. ყველამ ვიცით, თუ როგორ აფასებს და უძღვება გლეხი საკუთარის ოფლით მორწყულს მიწას...

ზემოდ აღნიშნულ გარემოების გარდა, არ შეგვიძლიან ყურადღება არ მივაქციოთ გლეხ-კაცობის აზრის მიმდინარეობას. თითქმის ყოველ დღე გვაუწყებენ, რომ ესა-და-ეს სოფელი აპირობს სკოლა გამართოს, რომ ამა-და-ამ სოფელში ხალხი, როცა დრო და მოცალეობა აქვს, თავს იყრის ერთად და წიგნის კითხვაში ატარებს დროს, თუ რომ მწიგნობარი ვინმე ჰყავსო. ჩაუკვირდით დაბა და სოფლებიდგან მოწერილს ამბებს და თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ ხალხში დასტრიალებს და იზრდება მეტად პატიოსანი, ნათელი და ცხოველი აზრი: განუწყვეტელ შრომასა და გარჯაში ჩაბმულს ადამიანს შეუგნია, რომ ცხოვრების ტვირთის შესამსუბუქებელი ერთი-და ძლიერი, ნამდვილი საშუალებაა, რომელსაც სწავლა-განათლებას ჰქვიან,—რომ ეხლა ისეთი დროა, როცა მამულსა და შრომასა შესაძლოა კაცმა პატიოსნად და რიგიანად გაუძღვეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაფერი ცოდნა რამ შეუძენია. იგი ხალხი, როგორც მუყაითს და შრომაში აღზრდილს ადამიანს შეჰშვენის, მტკიცედა და ბეჯითად მისდევს ყოველს თავისს საგანს, აზრს, და თუ ეგ აზრი ზოგჯერ სისრულეში ვერ მოუყვანია, ამის ბრალი მარტო იმ ხალხის ბრალი არ არის.

ყოველივე ესე იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად იცვალა ფერი ჩვენმა ცხოვრებამ, რამდენად რთული შეიქმნა ცხოვრება და ადამიანთა შორის განწყობილება; ყველანი უნდა ვხედავდეთ, რომ თუ უსწავლელნი და გაუნათლებელნი დავრჩით, ვერ გავსწევთ ცხოვრების უღელს და იძულებულნი ვიქმნებით თავზე ხელი ავიღოთ. ჩვენდა სასიამოვნოდ, ეს აზრი დასტრიალებს ჩვენში და იმედია, თუ ამ აზრს მხარი მივეცით, იგი კიდევ უფრო ფრთას შეისხამს და შესაფერს ნაყოფს გამოისხამს.

ზემოდა ვსთქვით, იმ ხალხის ბრალი არ არის, თუ ზოგჯერ თვისი აზრი ვერ განუხორციელებია; იმისი ბრალი არ არის, იმიტომ, რომ გაუნათლებელ ადამიანისათვის ძნელია მკვიდრს ნიადაგზე დააყენოს ისეთი რთული საგანი, როგორიც, მაგალითად, განათლებაა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ხალხი გულს აიყრის ხოლმე სწავლა-განათლებაზე, როცა იგი სწავლა-განათლება ყალბია. ხშირად ჰკარგავს ნდობას ნასწავლ პირებისადმი, რომელნიც აღჭურვილ არიან ყალბის სწავლა-ცოდნითა. ხალხი კარგად ხედავს იმასა, თუ რამდენად უვარგისნი არიან გლეხკაცნი, როცა იგინი შეუფერებელ სწავლის მიზეზით იძულებულნი არიან კავშირი შესწყვიტონ გლეხკაცობასთან და მიწასთან. ისიც კარგად ვიცით, თუ როგორის პატივის-ცემით ეპყრობა და უყურებს გლეხ-კაცობა ჭეშმარიტს, თვისის მდგომარეობის შესაფერს სწავლა-ცოდნასა და რიგიანად აღზრდილს წევრს საზოგადოებისას. მაგრამ ვიმეორებთ, რომ იმავე ხალხს არ შეუძლიან რიგიანად გაუძღვეს იმ რთულს საგანს, რადგანაც არც იმდენი მოცალეობა აქვს და არც საჭირო განათლება. იგი მხოლოდ თავისის ეკონომიურის და სოციალურის მდგომარეობის მიხედვით სჯის იმაზე და სამართლიანადაცა სჯის, თუ რომელი სწავლა-ცოდნა რადენად საჭიროა მისთვის.

მკითხველი ადვილად შეიგნებს, რომ ჩვენს სოფლის ხალხს იმ რთულის საგნის რიგიანად დასაყენებლად და საწარმოებლად ესაჭიროება ვისიმე მხრით მეთაურობა, შემწეობა. ამ გვარი მეთაურობა, შემწეობა მოვალეობაა ჩვენის „დაწინაურებულის“ საზოგადოებისა, მაგრამ ამ საზოგადოებას, როგორც უკვე გვითქვამს, გული და თვალი შორსა აქვს ხალხზე და იმის საჭიროებაზე; ეს გარემოება-კი გვიჩვენებს ორს ერთი-ერთმანერთის წინააღმდეგ მდინარეობას ჩვენის ცხოვრებისას, და ამას-კი, რასაკვირველია, ცუდი გავლენა აქვს ჩვენის ცხოვრების მსვლელობაზე.

დრო არის საფუძვლიანად ჩავუკვირდეთ ამ გარემოებას... დიაღ, თუ ჩვენ მართლა კაცური კაცები ვართ, თუ საკუთარს თავზე ჯერ ხელი არ აგვიღია და არც ვაპირობთ ამ შეუწყნარებელის დანაშაულობის ჩადენას, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ და ხელი შევუწყოთ

# ფელეტონი

## ეტნოგრაფიული წერილები

(წერილი მეცამეტე)

რაც უნდა კარგი და მიმზიდველი სამყოფინარო იყოს სულეთი, ხევსურისათვის სიკვდილი მაინც დიდი უბედურებაა. ვიდრე მკვდარი არ დაიმარხება, მთელი სოფელი ჰგლოვობს, საქმეს და მუშაობას თავს ანებებს. გარდა ამისა, სამძიმარი, „ჰირის წყენა“ ყველასათვის სავალდებულოა,—დიდმა და პატარამ, მამროვანმა თუ მდედროვანმა ჰირისუფალს უეჭველად უნდა მიუსამძიმროს. სათემო დამოკიდებულებას და საგვარეულო ნათესაობას ვინ-ღა იტყვის, აქ უბრალო ნაცნობებიც-კი მჭიდრო კავშირით არიან შეერთებულნი. ძველებური ძმობა და მეგობრობა აქ-ღაა შენახული. როცა ხევსურნი ერთი-ურთს შეეყრებიან, აი თუნდა გზაში, სალამის მიცემა დიდის ამბით იციან: ჯერ ერთი მოჰყვება და წყნარად, დინჯად, დაწვრილებით ყველას და ყველაფერს გამოჰკითხავს და მოუკითხავს ნაცნობს; ჯალაბობიდამ დაიწყობს, საქონელზედ და ჯორაკაზედ გადავა, შემდეგ სარჩო-საბადებელს მოიხსენიებს, სოფლის ავსა და კარგს შეიტყობს... მერე მეორეს რიგია, იმანაც ჯეროვანად უნდა სალამი მისცეს თავის მეგობარს. საზოგადოდ, სალამის მიტანას დიდს ყურადღებას აქცევენ და ჩვენებურს მოკლესა და ხშირად უგულო „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ არა სჯერდებიან.—„ჰირის წყენა“ ხომ უფრო დიდის ამბით იციან. მამროვნები შეიკრიბებიან ერთად, ერთი-ერთმანერთს ზურგს უკან მოუდგებიან და ესრე ჩამწკრივებულნი ბანიდამ „ჰირს უწყენენ“ ჰირისუფალსა. პირზედ ტალავრის კალთა აქეთ აფარებული და ქვითინებენ; თუ არა ქვითინი, «ხმით ტირილი» მამროვანს არ შეუძლიან, ჩვეულება უკრძალავს. აი თვით «ჰირის წყენის» ფორმულაც, რომელიც ყველამ ზეპირად იცის: „ვერ გექნ ჩემ თავი, მანამდე ეგეთას გნახევდ; ბრალ არასა, დიდ ღმერთის წყენა არასა; ჩემ კვალ კაცი მზეს იარებოდას, სიტყვას გეტყოდას... შინით ნუ დამილიოს ღმერთმ, თუ რაგორც თავის ძმისა, ეგრ არ მწყინდას თქვენ ავიდ მარხე, თქვენი ძმის ჩაფარება, ჩემ მზეს სიარული; გამოსადეგნი ხართ ძმისა, მამი-ძმისა; კაი ცხენ-აბჯარ დაგცდებისთ, მამანი საბატონი ხართ, დედანი სადედუფლონი, თქვენის თესლისა და ჯილაგისანი;—ლაშქარს, ბჭე-ხევის-ბერს დააკლდებით; ბეჩაობა არ გეთქმისთ, არც გეკადრებისთ; ნარჩომს ღმერთმა ჯვარ დაგწერახთ, იმის სული გიცხონახთ, ლხინის ლოცავ მოგიყენახთ; ვისაც თქვენდ გეხვენებოდახ (ესიამოვნებოდაო), იმას ნუ დაულიოს“... როცა ჰირისუფალი მოისმენს ყოველსავე ამას, მაშინ მწუხარის ხმით პასუხად უგებს: „შენის მტრისაი, დუშმანისა, რაის კაისად ვორთ?—შეგბრალდებით ბეჩაობით, მზე დაგვცდების, კაცთ სწორი; მლონენ ვიყვენით ძმისაი, მამისძმისაი; თქვენ რო თას დაილოცავთ, მაგის ფასნიც არ ვართ; დიდ მადლი, დიდ გახარებაი ჩვენ ჩაფარება; ღმერთმა საწყენ ნურა მიმიცის შენ თავს, ღმერთმა ცის წვიმანი ნუ დაგცას... დასხედით, ჩამასხედით“... როგორც შევნიშნეთ, კაცებმა ტირილი არ იციან და ეს ტირილი დიდად სასირცხვილო საქციელიც არის; გარდა ამისა, ჩვეულება სასტიკად უკრძალავს ცოლ-ქმარს შვილები და ერთი-ერთმანეთი იტირონ სიკვდილის დროს, - ხევსურის აზრით, ცოლ-შვილის დატირება სულის სიმდაბლეა და სისუსტე. ეს შეხედულობა ხევსურს სიკვდილზედაც-კი გადაუტანია, მას ვაჟკაცის სიკვდილი სათაკილოდ მიაჩნია, თითქო სიკვდილისათვის სულ ერთი არ იყოს, ვაჟკაცია იმის მსხვერპლი, თუ სხვა ვინმე!.. საყურადღებოა, რომ ვაჟკაცს კიდეც უკიჟინებენ სიკვდილს—არა გცხვენის, რადა მოკვდიო! ზოგიერთს ადგილას, პირ-აქეთ ხევსურეთში, შეაფურთხებენ კიდეც—ფუი შენ ვაჟკაცობასაო [1])...

ხმით ანუ ზარით ტირილი დიაცების საქმეა და ამ საქმეში ისინი ძრიელ გავარჯიშებულნიც არიან. ტირილში მოისმის მკვდრის ქება, მისი ჯალაბობის ბეჩაობა. ხმით მატირალი ერთია, სხვები ბანს აძლევენ; როცა გამოჩენილი მკვდარია, ხმით მატირალი ოცზედ მეტიც გამოიცვლება. ეს ადვილად შესაძლისი როდია, თვითეულს მატირალს „სახმით მოტირლო“ უნდა მიეცეს: თითო დიდი პური, ნახევარი ან ერთი ჩარექი ერბო და ნაჭერი ყველი; წინად მარილსა და მატყლსაც აძლევდნენ. მაშ ხმით ტირილი დიდი სარფა ყოფილა და კიდეც ამიტომ ხევსურელი დიაცი გულ-მოდგინებით სწავლობს ამ ხელობას. არ უნდა დაივიწყოთ ისიც, რომ წინად, ჩვეულების ძალით, ყველა სამძიმრად მოსულს მდედროვანს აძლევდნენ თითო კვერს და გირვანქის წონა ერბოს. თუმცა გარეშე ჰირის მწყენელებს ეხლა ამას აღარ აძლევენ, მაგრამ ახლო ნათესავებს ეხლაც ეძლევათ ეს გარდასახადი („წილბურკვი“). პირ-იქით ხევსურეთში მკვდრის დასაფლავება მალე იციან, იმავე დღეს, როცა მკვდარი სულს დალევს; და ამიტომ რიგის გადახდას სხვა დროსათვის გადასდებენ ხოლმე; „სახმით მოტირლოსაც“ პირველ რიგის დღეს, „ცრემლობის“ დღეს აძლევენ. პირ-აქედ დამარხვა ორ-სამ დღესაც გასტანს, რადგანაც დასაფლავება რიგის გადაუხდელად არ შეიძლება და რიგს კიდევ სასმელ-საჭმელის მომზადება უნდა... შევნიშნავთ მკითხველისათვის, რომ ტირილის დროს მკვდრის ტალავარი და თოფიარაღი მამტირლებს წინ უწყვიათ; ხმით მამტირალი აიღებს ხმალს, დაშნას ან სხვა რამეს, დაიბჯენს და ისე მოსთქვამს...

რადგანაც ურთიერთობა სოფლის

[1]) ეს ჩვეულება პირ-იქით გვიამბეს; პირ-აქეთელები-კი არა კისრულობენ, ტყუილიაო. საზოგადოდ, პირ-იქითელები და პირ-აქეთელები ზევრჯელ ერთი-ერთმანეთს დასცინიან,—წუნტნი, ყროლნი არიანო.

ჩვენს წარმატებას. ჩვენ უნდა შევიგნოთ, თუ რა გვარი სწავლა-ცოდნაა საჭირო და შესაფერი ხალხისათვის, იმისი მდგომარეობისათვის. ეს საგანი ფრიად საგულისხმოა, რადგანაც მასზეა დამოკიდებული ჩვენი ყოველი მხრივი წარმატება და ბედნიერება.

ა. ნა—ლი

---

სახელმწიფოები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმებულან იმის თაობაზე, თუ რა საშუალებით იმოქმედონ ბოლგარიის საქმის დასაბოლოვებლად. ეს გარემოებაკი გვიჩვენებს თან იმასა, თუ რამდენად საძნელო და დახლართულია იგი საქმე, და თან იმასაც, თუ რამდენად სხვა-და-სხვა აზრისანი არიან ევროპის სახელმწიფონი. როცა ხმა გავარდა, რომ ევროპას განზრახვა აქვს ერთ-ხმად წინააღმდეგობა გაუწიოს ბოლგარიას და ფერდინანდსაო, ბოლგარნი მაინცა-და-მაინც არ შეშინდნენ, თუმცა პირველს ხანს იმ ხმამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. როგორც ზოგიერთა ცნობებიდგანა სჩანს, პრანცი ფერდინანდი კიდევ უფრო გაამხნელებს ევროპის სახელმწიფოთა საქციელს ბოლგარიის საქმეში; ზოგნი იმასაც მოელიან, რომ ახალი მთავარი თავს გამოიდებს, რათა დაიცას თავისი საქმეო. იუწყებიან, რომ პრინცს ბრძანებით მიუმართავს ჯარებისათვის და ამ ბრძანებაში იმედს აცხადებს, რომ ჯარი გაჭირვების დროს აღასრულებს თავის მოვალეობას... თანაც იმასაც იწერებიან, რომ ავსტრიის თოფხანებისათვის ბოლგარიის ახალს მთავრობას უკვე შეუკვეთნია ორასი ათასი თოფი მაგაზინის სისტემისა. თუ ეს ცნობანი მართალნი გამოდგნენ, მაშინ უეჭველია, რომ პრინცს ფერდინანდს და ბოლგარიას მტკიცე განზრახვა აქვთ წინააღმდეგობა გაუწიონ იმათ, ვინც მათ წინააღმდეგ იმოქმედებენ, და თუ ეს განზრახვა მართლა გულში ჩაუდვიათ, მაშინ ფერდინანდი იძულებული იქნება კიდევ ერთი გაბედული ნაბიჯი გადასდგას, ე. ი. უნდა გამოაცხადოს ბოლგარიის სრული დამოუკიდებლობა, რათა ამ საშუალებით სრულიად თავისუფალი იქნას მოქმედებაში, განამხნევოს ბოლგარნი და მათი სიყვარული მოიპოვოს. ეს ნაბიჯი მეტად გაბედული იქნება, მაგრამ იგი მისთვის აუცილებელია, თუ რომ მართლა სურს თვისი გამბედაობა და ურჩობა ბოლომდის მიიყვანოს. ძნელად საფიქრებელია, რომ პრინცი ფერდინანდი თავის თავად მოქმედებდეს ასე გაბედულად; უეჭველია მან კარგად იცის, რომ ევროპის სახელმწიფონი ბოლგარიის საქმეს სხვა-და-სხვა რიგად უყურებენ, და თუ მისს განზრახვას მოპირდაპირენი ჰყავს, მომხრენიც უნდა მოეპოვებოდეს. მართლაც, როგორც სოფიიდგან იუწყებიან დეპეშით, ბოლგარიის მთავრობას საბუთი აქვს იფიქროს, რომ ავსტრია, ინგლისი და იტალია ეწინააღმდეგებიან მალ-მომრეობის მიტანას ბოლგარიაზე. სწორედ ამ გარემოებაში უნდა ვეძიოთ მიზეზი ფერდინანდის მედგარისა და გაბედულის მოქმედებისა. ეჭვი არ არის, რომ რუსეთი ამ გვარის გარემოების შემხედვარე არ გადასთქვამს თვის მტკიცე განზრახვას და ფერდინანდის საქციელს არ შეიწყნარებს. რუსეთის პოლიტიკა ორ დასად ჰყოფს ევროპის სახელმწიფოთა, თუ ინგლისი, ავსტრია და იტალია ბოლგარიას ემხრობიან, სამაგიეროდ საფრანგეთი და გერმანია რუსეთისაკენ არიან. ამ ორ მოკავშირეთა შორის უფრო საიმედო საფრანგეთია, თუმცა საფრანგეთს იმოდენად თვალსაჩინო, ძლიერი ინტერესი არა აქვს-რა ბალკანის ნახევარ კუნძულზე. ერთად-ერთი მიზეზი საფრანგეთის ამ გვარის საქციელისა ის არის, რომ სამერმისოდ მოიპოვოს მეგობრობა და მომხრეობა ისეთის ძლიერის სახელმწიფოსი, როგორიც რუსეთია. ეს მეგობრობა საფრანგეთს, თავისის აზრით, გამოადგება გერმანიის საწინააღმდეგოდ. რაც შეეხება გერმანიას, უნდა ვსთქვათ, რომ ბისმარკის მომხრეობა მაინცა და მაინც საიმედო არ არის, მეტადრე იმ საქმეში, რომელშიაც საფრანგეთმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. ვნახოთ, როგორ იმოქმედებს ბისმარკი ეგოდენად დახლართულს საქმეში.

ა. ს—ი

---

# ახალი ამბავი

*** ტფილისის გაზეთებში ათასჯერა ყოფილა დაბეჭდილი ცხენის რკინიგზის მოსამსახურეთა უკანონო მოქმედებაზე, მაგრამ ისინი თავიანთ საქციელს არ იშლიან და არცა ცდილობენ მოიშალონ. შემოჰხვდებათ თუ არა გლეხი, ან საწყლად ჩაცმული სხვა ვინმე, უეჭველად უნდა დააჯახონ ვაგონი და თუ ეს ვერ მოახერხეს, შოლტს მაინც გადაჰკრავენ ხოლმე, თუ მიაწვდინეს. აი გუშინაც მეოთხე № ვაგონის კუჩერმა ვერაზე არ შეაჩერა ვაგონი და ერთს წუთასაც არ აცალა, რომ გლეხს გადაერეკა გზის ლიანდაგიდამ შებმული ხარები. ვაგონი დაეჯახა გლეხის ხარსა და ფეხი ზედ შუაზედ გადუმტვრია.

*** ქალაქიდგან ყოველ დღე დილით რამდენიმე ცხენოსანი კაცი მიეშურება საბურთალოზე დაბანაკებულ ჯარებისაკენ, სამსახურში. ხშირად ქუჩა თუმცა სავსეა მგზავრებით, მაგრამ მხედარნი ცხენებს რაც ძალა და ღონე აქვს მიაჭენებენ, თითქოს დილის ტრიალ მინდორში იყვნენო, ამის გამო ბევრი მგზავრი ფათერაკსაც შეემთხვევა ხოლმე, მაგალითად: 16-ს აგვისტოს, საათის ცხრაზე დილით, ორი მხედარი მიაჭენებდა ვერაზე ცხენებს. ერთმა მათგანმა დააჯახა ერთ საწყალ დილმელ მებაღე იმერელს, რომელსაც სახედარი მიჰყავდა. წააქცია მებაღეცა და სახედარიც და, თითქო აქ არა ამბავია-რაო, გააჭენა ცხენი. დათეთქვილი მებაღე მედუქნეებმა შეიტანეს დუყანში და ძლივს მოასულიერეს.

*** სენაკის მაზრიდამ: ის ადგილი, სადაც ეხლა დაბა სუჯუნაა გაშენებული, უწინ წარმოადგენდა თავ-მინებებულს მინდორს. ჭყონდიდლებს მოეწონათ და განიზრახეს იქ თავიანთ საზამთრო რეზიდენციის გამართვა. ამის გამო ანტონმა, თუ დავით ჭყონდიდელმა გაათხრევინა არხი და გამოაყვანინა წყალი მდინარე ცხენის-წყლიდამ და პირველ მოსახლებად მოიწვია ურიები. ურიებს მოჰყვნენ მეგრელები და დღეს მოსახლეობს 70 კომლი ურია, განთქმულნი სიმდიდრითა, და აგრეთვე მრავალი მეგრელობა და იმერლობა.

უმთავრესი მიმზიდველობითი ძალა სუჯუნასი აიხსნებოდა იმ ბრძნულის გარდაწყვეტილებით, რომელიც დაადგინეს ჭყონდიდლებმა და პირველ მოსახლეებმა, ე. ი. რადგან ამ გაკეთებულ არხში წყალი მოდიოდა ძრიელ წყნარად, ამიტომ არავის არ უნდა გაეკეთებინა მასზედ წისქვილი, რადა წყალი არ შეგუბებულიყო, არ გადასულ-გადმოსულიყო ნაპირებზე, არ აეჭაობებინა იქაურობა და არ გაეფუჭებინა არე-მარის ჰავა. ეს გარდაწყვეტილება წმინდად იყო დაცული ბოლო დრომდე, მაგრამ შემდეგში ერთმა ვილაცამ გამართა წისქვილი. შეგუბდა წყალი, ამოივსო მრავალ ორგანიულ ნივთებით, რომელიც ლპებოდა და იხრწნებოდა, რის გამოისობითაც ფუჭდებოდა ჰაერი. მაშინ სუჯუნელებმა შეისყიდეს ხსენებული წისქვილი კერძო პატრონისაგან, დააქციეს და ხელ-ახლად დაადგინეს განაჩენი, რომ კვლავ იქ ალარავის არ შესძლებოდა წისქვილის ამართვა. დიდხანს იცავდა სუჯუნა ამ განაჩენს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მიავიწყდა ხალხს ბრძნული აზრი განაჩენისა და არ შეუშალა ხელი მსურველთ წისქვილების დაკეთებაში. მსურველნიც საკმაოდ გამოჩნდნენ და გამართეს წისქვილები.

ერთმა და იმავე მიზეზმა გამოიწვია ერთი და იგივე შედეგი, ე. ი. შეგუბებულ წყალში მეტადრე ზაფხულობით იხრწნება მცენარე, თუ ცხოველთა ლეში და ჰმურტლავს ჰაერსა. ამას თან ისიც ერთვის, რომ სუჯუნა გადიდდა, არხის ნაპირებზე ძალიან ბევრი სახლებია გაშენებული და მაშასადამე უფრო ბევრი ხალხი შეაწუხა ამ წყლის შეგუბებამ წისქვილებისა გამო. ჯერა სთხოვეს პატრონებს მოშალეთ წისქვილებიო, მაგრამ ამან რომ არ გასჭრა, მიჰმართეს ბ-ნ გუბერნატორს და სთხოვენ უწინდელ განაჩენის ძალის აღდგენასა და წისქვილების მოშლას. ეს იმოდენად საჭიროა სუჯუნას კეთილდღეობისათვის, რომ ბ-ნი გუბერნატორი უეჭველია აღუსრულებს სუჯუნელებს თხოვნასაო, ამბობს ჩვენი კორრესპონდენტი.

*** ოჩამჩირედამ: 9 აგვისტოს ოჩამჩირელებმა შეჰკრეს პირობა, ბ-ნ ნიკო ქოიავას და თემურაზ ჩაჩავას თაოსნობით, რომ დაიქცეს ხის მაღაზიები და სახლები და მათ ადგილზე გაშენდეს ქვითკირის შენობა არხიტექტორის ნაჩვენებ გეგმაზე; აგრეთვე შუა ბაზარში უნდა გაკეთდეს ისეთი შადრევანი, როგორც ალექსანდროვის ბაღშია ტფილისს.

გარდა ამისა, ბ-ნ თურქიას შემწეობით უნდა ამოაშრონ ის ტბები და ხრამები, რომელნიც გარს არტყია ოჩამჩირეს, იმათში დღეს სდგას ყვითელი აყროლებული წყალი, და უნდა გაიყვანოს რიგიანი გასაშრობი მილები.

აგრეთვე დღეს რომ ზღვის პირზედ თათრული ხის მაღაზიებია აშენებული, უნდათ გადაიტანონ და სხვაგან დადგან. თავად გრიგოლ შერვაშიძის თაოსნობით ამ მაღაზიების ადგილას უნდა გაიყვანონ ზღვის პირზე სასეირნო გზა. რამდენმამე საპატიო კაცებმა დაჰპირდნენ ამ სასეირნო გზისათვის კიპაროსის ნერგების შემოწირვას. ეს ნერგები იქნება გაყოლებული ორ პწკარად ერთის ვერსტის მანძილზედ: ზღვის პირისაკენ იქნება კიპაროსი და მეორე გვერდზედ ნაძვის ხე მდინარე გალისგის პირამდე.

*** იქიდამვე: ოჩამჩირემ შარშან გადასდო 1,000 მან. სკოლისათვის. ამ ფულით ააშენეს სკოლის შენობა, სადაც მოთავსდება ასი ბავშვი. სკოლაში ასწავლის ორი მასწავლებელი აფხაზთაგანი. დღესა სწავლობს 60

---

მცხოვრებლებ შორის მჭიდრო კავშირს შეადგენს და ერთის ოჯახის უბედურება სხვებს საერთო უბედურებად მიაჩნიათ, ამიტომ მთელმა სოფელმა მიუცილებლად უნდა იტიროს მკვდარი. როცა ნარევები მკვდარს წაიღებენ, იგი სოფლის პირად უნდა დაასვენონ და სწორედ ამ სოფლის პირად მოხდება ხოლმე საერთო ტირილი; ამ ტირილის შემდეგ თუმცა სოფელი მკვდარს საფლავამდე მიაცილებს, მაგრამ დასაფლავებას-კი ვერ დაესწრობა,—დასაფლავება ნარევების საქმეა, სხვა ვინმე მკვდარს არ მიეკარება. როგორც ვსთქვით, ხევსურს სიკვდილი საზოგადო ზარალი ჰგონია და კიდეც ამ აზრზედ დაუფუძნებია სხვა-და-სხვა საყურადღებო ჩვეულება. პირველად ესა, რომ ტირილის დროს (პირ-იქით ხევსურეთში) თვითეული მდიდროვანი მკვდრის ოჯახში მიიტანს ხოლმე სამ კვერსა და ნაჭერ ყველს; ეს ულუფა სხვა თემის დედაკაცებისა და ნარევების საჭმელია. მეორედ, „ცრემლობა დღეს“ (პირველი სამარხი რიგია) ყველა ოჯახმა ერთი ლიტრა ქერი უნდა შეაწიოს ჰირისუფალს. ამ შესაწევრის მისალებად ორი კაცია ამორჩეული; იმათ უნდა არწყონ ქერი, რომ ლიტრას არა დააკლდეს-რა. ვინც შესაწევარს არ მოიტანს, იმას ძალად წაართმევენ. ნათესავებისათვის ეს შესაწევარი სულ სხვაა: თუ თითომ არა, ორმა კომლმა მაინც ერთი ქვაბი არაყი უნდა გამოუხადოს მკვდრის ოჯახს; რასაკვირველია, არაყის მაგივრად ლუდიც შეიძლება.

თემი ხომ შემაერთებელი ძალაა, მაგრამ ამ ძალაზედ უფრო მეტი მნიშვნელობა სხვა კავშირსა აქვს, სახელდობრ მეშაბათეობას. ყველა ნათესავი მეშვიდე თაობამდე მეშაბათეა. თუ რომელიმე მეშაბათე რიგში არ მივიდა ჰირისუფალთან, ლუდი ან არაყი არ უდულა, მაშინ მეშაბათობა ისპობა. ამ ნათესაობის „გადალახვა არ შეიძლების“ და თუ მოხდა, სასირცხვილო და საუბედურო საქმეა. ეს იმიტომ, რომ მეშაბათობა კერძო და ახლო ნათესაობაა; ჭირში თუ ლხინში მეშაბათემ მხარი უნდა დაუჭიროს თავის ნათესავს. ჩვეულების ძალით, ეხლაც ყველა მეშაბათეებმა მკვდრის პატრონს სისხლში ხუთი ძროხა უნდა მისცენ, იმიტომ-რომ მკვლელის ახლო ნათესავები არიან და იმათაც ბრალი ედებათ; თუ ეს ჯარიმა არ გადაიხადეს, მკვდრის სოფელში გავლა არ შეუძლიანთ, გზა შეკრული აქეთ—არ გვინდიხართ, ჩვენი მკვლელის ნათესავები ხართო... მეტადრე ძველ დროში მეშაბათეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მნიშვნელობა სისხლის სამართლით მტკიცდება. სისხლი (მკვლელობის ჯარიმა) სამ ნაწილად იყოფოდა; ორი წილი გვარეულობისა იყო და ერთი მკვდრის პატრონისა; მაგრამ მეშაბათეები გვარეულობაზედ მაღლა იდგნენ და საერთო ორი წილიდამ თვითეულს მეშაბათეს ერთი ცხვარი მეტი ერგებოდა,—საბიძაშვილო არისო... გარდა ამისა, ჯურუმიდგანაც მეტი წილი მიჰქონდათ[2]). მეშაბათეობამ ძველი იურიდიული მნიშვნელობა თუმცა დაჰკარგა, მაგრამ ეხლაც ცხოველ ძალას წარმოადგენს, მეტადრე როცა საქმე ნათესავთა დამოკიდებულობასა და ურთიერთობაზედ მივარდება ხოლმე. საყურადღებოა, რომ სიკვდილს, როგორც დიდს უბედურებას, ზოგიერთი სიმბოლებრივი ჩვეულება მიუცილებლად თან მოსდევს. ასეთია სახელდობრ „საპირიხსნო“ და „პირის ჭერა“. როცა მიცვალებულს დაასაფლავებენ და ნარევები სახლში დაბრუნდებიან, მწუხრად მკვდრის ჯალაბობამ საკლავი[3]) უნდა დაჰკლას. ამ საკლავის ღვიძლს შესწვენ; თვითეული ნარევი და ნათესავი შემწვარს ღვიძლს სამჯერ მოჰკვნეტს და მერე გამოაფურთხებს. თვით საკლავი ბალღებმა უნდა შესჭამონ; შეიძლება იგი მეორე დღისათვის შეინახონ; მაშინ მკვდარს მეორედ იტირებენ და მომზადებულ საკლავს სჭამენ დედაკაცები, ნათესავები, ნარევები. ღვიძლის მოკვნეტას „საპირიხსნო“ ჰქვიან. ხალხი-კი პირს აიხსნის ბანზედ, სადაც უნდა ერთად შეიკრიბოს; პირის ახახსნელი საჭმელი ხავიწი და ყველია; ხორცი და სასმელი არ შეიძლება. ეს პირველი რიგია, „ცრემლობის დღეა“, „სამარხი დღე“. ამ ჩვეულებას უფრო პირიქით მისდევენ. სულ სხვაა „პირის ჭერა“. დამარხვის დღეს პირის უფალი ორს გვარეულს ამოირჩევს და ერთს დიაცს; მათ ქვემო ოთახში დასვამს, „ყვერფთან“ (სადაც ცეცხლი ანთია) და თითოს თითო ქადას მისცემს. პირის მჭერნი ამათ იმიტომა ჰქვიანთ, რომ ისინი არავის ეჩქამებიან, არ ელაპარაკებიან. სულის ხუცი ჩავა და ქადებს აკურთხებს (მკვდრის რიგის კურთხევა სულის ხუცის საქმეა; ხატიონს, ხატის ხელოსანს მკვდართან საქმე არა აქვს, იგი რიგში არც-კი მივა). კურთხევის დროს პირის მჭერნი ქადებს სამჯერ შემოატრიალებენ და მერე ჩუმად თავიანთ სახლში წაიღებენ; როცა უკან დაბრუნდებიან, ფიცარს აიღებენ და მიცვალებულის ოთახის სარკმელზედ მიაყუდებენ. შემდეგ ამისა მათ ნება აქვთ ილაპარაკონ, ხალხთან ერთად სვან, ჭამონ. ჩვენის აზრით, «პირის ჭერა» მწუხარების გამომხატველი ნიშანია და იმას ნიშნავს, რომ ჯალაბობა და ნათესაობა სიკვდილის გამო ისრეა

---

[2]) ჯურუმად ერთი ძროხა იყო დადებული; ჯურუმას მაშინ ახდევინებდნენ, როცა მკვლელის ნათესავი მოკლულს სულს უხსენებდა ცუდად, აგინებდა. ძველმა სამართალმა საენო არბითიც იცოდა; საენო არბითს იმასართმევდნენ, ვისის ენითაც მკვლელობა მოხდებოდა,—ენა არ დააყენა, კაცი ბრაზზედ მოიყვანა და მკვლელობა ჩაადენინაო. საენო არბითში რვა ძროხა იყო და არბითი მთლად მოკლულის პატრონს ერგებოდა. ეხლა ჯურუმა და საენო არბითი აღარ იციან.

[3]) იქმნება მკითხველმა არც-კი იცოდეს, რომ ხევსურეთში სრულიად არ მისდევენ შინაურ ფრინველის ყოლას: ქათამს, ბატს, ინდოურს, იხვს და სხ. აქ ვერ ნახავთ, მათი ხსენება აქ არ არის. ხალხი არცა სჭამს შინაურს ფრინველს—ხატი გვიწყრებაო... იქნება ხატიც იყოს მიზეზი ფრინველების არ-ყოლისა, მაგრამ, ჩვენის აზრით, აქ მიზეზი სულ სხვაა. ბევრჯელ უთქვამთ ჩემთვის, რომ შინაური ფრინველი ნათესს წაგვიხდენსო. მართალიც არის: ხევსურს ნათესი ეზოს ახლო აქვს, სადგურიდამ რამდენსამე ნაბიჯზედ; გარდა ამისა, მიწის უქონლობის გამო მეტად ცოტასა სთესავს. ორმოც კომლიან სოფელში კარგია, რომ ოთხს კომლს არ დასჭირდეს „სულადის“ ყიდვა, დანაშთენნი სხვაგან ყიდულობენ სარჩოს. ფრინველობა რომ გავიჩინოთ, რა გვჭამოთო... მოდი და ელაპარაკე ამ პრაქტიკულს ხალხს!... გარეულ ფრინველს, შურთხს, როჭოს, კაკაბს მშვენივრად შეექცევიან და ხატიც უბნულობს.

ყმაწვილი. დაბა ოჩამჩირის ხარჯით ეძლევა მასწავლებელთ ჯამაგირი. ბავშვებს ასწავლიან რუსულად და ყოველ დღე ქადაგება აქვთ. ვისაც არ ესმის რუსული, იმათ მასწავლებელი და ბლაღოჩინი უთარგმნიან. დიდის გულ-მოდგინებითა სწავლობენ აფხაზის ყმაწვილები და სულ წიგნს ჩასჩერებიან, ეგებ გაიგოთ რამე ქვეყნიერობისაო. მამა კერესელიძე ძალიან უბეჯითებს აქაურ ხალხს. წირვის დროს სამი მთარგმნელი ჰყავს. როცა წირვას ათავებს, სახარებას უთარგმნის მსმენელთ აფხაზურად და ქართულად. მამა კერესელიძის წირვა-ლოცვას დიდს სასოებაში მოჰყავს აფხაზი და მეგრელი. ამათ შორის სარწმუნოება თუ მოსპობს ქურდობას, თუ არა და, სხვა ვერაფერი ვერ უშველის. ყოველ ღამე ცხენის ქურდობა ჰხდება. გუშინწინ ღამეს მოჰპარეს ცხენი ურუშაძეს, წუხელი — შენგელიას. ყოველ დღე სასამართლოში გამოტენილია მოჩივრებით, ასე რომ ცხრა საათზედ დილით შედიან და საღამოს ხუთს საათზედ ძლივს გამოდიან სასამართლოს მოსამსახურენი.

*** კვირას, აგვისტოს 16-ს, სოფ. ქარელში იყო ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს: „ადვოკატები“ და „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“. წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა, მეტადრე „აყალ-მაყალმა“, რომელიც ითამაშეს ბ-ნმა ვ. აბაშიძემ და ქ-ნმა. ყიფშიძისამ. გარდა ტფილელ არტისტებისა, კარგად ალასრულეს თავიანთ როლები ზოგიერთ პროვინციელებმაც და მეტადრე ბ-ნმა მაჩაბელმა და მგალობლიშვილმა. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა და ძალიან ბლომადაც დაესწრო, ასე რომ ქალები ძლივს ეტეოდნენ სკამებზედ, და კაცებს ხომ ყველას ფეხზედ მოუხდა დგომა. შემდეგ წარმოდგენისა ბ-ნმა მგალობლიშვილმა სთქვა რამდენიმე სცენა ხალხის ცხოვრებიდგან და ერისთავმა წაიკითხა სამი ლექსი. საზოგადოებამ როგორც სცენები, აგრეთვე ლექსები ალტაცებით მიიღო, „ვაშა-ვაშას“ ძახილს და ტაშის ცემას ბოლო არა ჰქონდა. შემდეგ ამისა დუდუკზედ გაიმართა ცეკვა, რომელმაც გასტანა ღამის მეორე საათამდე.

დიდის მადლობის ღირსია პატივცემული თ. დ. ციციშვილი, რომელიც მეთაურობს ხოლმე წარმოდგენების გამართვაში და დიდ შრომასაც ეწევა. უნდა შევნიშნოთ, რომ ბილეთების ფასი ძალიან დიდი იყო: ორი მანათი კაცის თავზე სოფელში დიდი საქმეა. ცოტა რომ იეფი ყოფილიყო, რასაკვირველია, უფრო მეტს ელირსებოდა წარმოდგენაზედ დასწრება. ამასთანავე კარგი იქმნებოდა, რომ გლეხ-კაცობა მოეწვიათ უმთავრეს რეპეტიციაზედ, რადგანაც წარმოდგენაზე მათ ვერ შეეძლოთ დასწრება უადგილობის და ბილეთების სიძვირისა გამო. რეპეტიციაზედ ბილეთი რომ აბაზადა ყოფილიყო, დარწმუნებულნი ვართ, რომ ბევრი გლეხ-კაცობა მოვიდოდა და ეს ხომ სასარგებლო იქმნებოდა როგორც მათთვის, აგრეთვე იმ საქმისათვის, რის სასარგებლოდაც იყო გამართული ეს წარმოდგენა. მაინც შემოსავალი იქმნება ოც-და-თხუთმეტ თუმნამდე.

როგორც გაზეთ „ივერიაში“ იყო გამოცხადებული, ეს წარმოდგენა გაიმართა ქარელის სკოლის სასარგებლოდ. წარმოიდგინეთ, ქარელში ჯერ არ არსებობს სკოლა! მართალია, ბევრი ხანია, რაც მცხოვრებლებმა დაადგინეს განაჩენი შესახებ სკოლის გახსნისა და წრეულ ფულიც უკვე წარადგინეს, მაგრამ სკოლა-კი ჯერ არ გახსნილა. მიზეზი ამისი გახლავთ შენობის უქონლობა. კარგი იქმნება, რომ იმ ფულით, რომელიც შემოვიდა წარმოდგენიდგან, დაიქირაონ სკოლისათვის სახლი და გააკეთებინონ მისთვის საჭირო ავეჯი, რომელიც იაფად დაჯდება, რადგანაც აქ ხელოსნებიც და მასალაც მოიპოება. თორემ თუ ასე ხელი დევიკრიფეთ, შენი მტერი, რომ ჩვენ არამც თუ წრეულს, იქმნება მერმისსაც-კი ვერ ველირსოთ სკოლასა.

---

## „ვეფხვის-ტყაოსნის“ ზეპირად ცოდნა.

„ივერიის“ მე-150 №-ში დაბეჭდილი იყო ბ-ნ ურბნელის შენიშვნა (წერილი რედაქციის მიმართ), რომელიც შეეხებოდა სამ საგანს: 1) ხევსურებისაგან ზეპირად ვეფხვის-ტყაოსნის ცოდნას, 2) (იაფფასის) ვეფხვის-ტყაოსნის გამოცემას ხალხისათვის, და 3) ხალხში წიგნების გავრცელებას.

მე მანდა აქ შევეხო ბ-ნ ურბნელის წერილის პირველს საგანს. ბ-ნი ურბნელი ბრძანებს, რომ ხევსურეთში მეფანდურეებმა იციან ვეფხვის-ტყაოსნის უმეთესი ადგილები და მღერიანო. ჩვენ ამ შემთხვევაში ერთი ფრიად საჭირო რამა გვაქვს გამოსარკვევი: ნამდვილად ჩვენში დაბეჭდილის ვეფხვის-ტყაოსნის ლექსებსა მღერიან, თუ თავისებურად შეცვლილსა?

ამ კითხვას საფუძველი აქვს პირველად იმიტომ, რომ ხევსურეთში წერა-კითხვა ძალიან არ არის მოფენილი, დაბეჭდილი ვეფხვის-ტყაოსანი იშვიათად მოიპოვება, რადგანაც ფასი ვეფხვის-ტყაოსნისა დღევანდლამდე ისე დიდია, რომ რუსთველის პოემა ადვილად ვერ მოიფინებოდა. მაშასადამე, თუ მოფენილა ხალხში, ზეპირად ცოდნითა. ზეპირად ცოდნით გავრცელებული ლექსი-კი ხალხში იცვლება თვითოეულ თემას ანუ ხეობის ენისა და პოეზიის კილოს მიხედვით, და ამ გვარი მაგალითები მოიპოვება საკმაოდ.

მაგალითად, ბეჟანიანი (რომელიც ნაწილია დიდის პოემის როსტომიანისა) ჯერ დაბეჭდილი არ იყო, რომ ხალხში ზეპირად იცოდნენ; ამიტომაც ამ თხზულებასაც ატყვია ცვლილება, რაიცა შეიძლება ბევრს შევნიშნოთ.

ამიტომაც უნდა გავიქროთ, რომ ის ვეფხვის-ტყაოსანი, რომელსაც ხევსურეთში მეფანდურეები მღერიან, თუ ისე გლეხები (ეს ორნი უნდა გარჩევით აღინიშნებოდეს, როდესაც მათი თქმულება იწერება), სახალხო პოეზიის განსაკუთრებულ ზედ მოქმედების ქვეშე შეცვლილი უნდა იყოს. ამას დასამტკიცებლად ერთი ადგილი შემიძლიან მოვიყვანო მაგალითად განსხვავებისა რუსთველის ვეფხვის-ტყაოსნისა და საერო ვეფხვის-ტყაოსნის შორის.

თუმცა მხეც-ქმნილი ავთანდილ
გულ-ამოსკვნით და კვნესითა,
ეგრეცა ჭამა მოუნდის
ადამის ტომთა წესითა.
ისრითა მოკლის ნადირი
როსტომის მკლავ-უგრძესითა,
შამბისა პირსა გარდახდა,
ცეცხლი დაავზო კვესითა.
ცხენსა მისცა საძოვარი,
ვირემ მწვადი შეიწოდეს.
ეშვსნი რამე ცხენოსანნი
ნახა მისკენ მივიდოდეს.

შეადარეთ ამ ლექსს ის ლექსი, რომელსაც მთელი საქართველო მღერის ორ-პირში და ფერხულში: „ავთანდილ გადინადირა ქედა მაღალი ტყიანი“ — და დაინახავთ, რომ ეს ერთი და იგივე ლექსია. მხოლოდ სასიმღერო ლექსი უფრო ვრცელია და უფრო სურათიანადაც შეცვლილა. ხევსურულ ვეფხვის-ტყაოსნის ერთ ნაწყვეტში, რომელიც დაწერილი მაქვს, ეს ლექსი ავთანდილზე თითქმის ისეთივეა, როგორც გოგებაშვილის დედაენაში დაბეჭდილი, რამდენისამე განსხვავებით (ავთანდილის საკვდილი არ იხსენება).

აი კიდევ შეადარეთ ეს ადგილები: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“ და სხვა ასე:

მინდორს კაცი დაბადულა,
არა იყო ამ მიჯნისა,
ხელთა ჰყვანდა შავი რაში,
დეებუჯლა ეგრო*) გმირსა;
წვრილად ესხა მარგალიტი
ცხენის ლაგამ-უნაგირსა.
ადეგით, აიშალენით,
ადემჩემო და ომარი,
ის კაცი აქ მოიყვანოთ,
ვინ არის ველზე მდგომარი.
—ბრძანება იყოს, ბატონო,
შენთა ბაგეთა ბროლთაგან,
ადვილი სამსახურ იყოს,
ერთის მოყვანა სამთაგან.

რასაც რუსთველის ვეფხვის-ტყაოსანში ერთის სიტყვით ეუბნება მონა ტარიელს „გიბრძანებსო“, ისეა შეცვლილი, რომ მოსვლასაც უბრძანებენ და სარდლობასაც ჰპირდებიან.

*) ვითა, ვითარცა, ეგრე როგორც.

— ტან ტურფო, თვალით ლამაზი
ვინა ხარ ველზე მდგომარი,
აქ მოდი, ბატონ გიბრძანებს,
ჯარის სარდალი თვით ხარი.

შემდეგ ტარიელმა რომ მეფის მონანი «გახადნა მტერთაცა საწყალობელად», ასე არის სახალხო ლექსებში:

ცხენი ცხენს ჰკრა, კაცი კაცსა,
გორე ეგა ცხენ-კაცისა.
ედემ გვიცა მათრახითა,
ომანს მოგვიმწვადა მხარი;
ერთი მინდორს გაგვილალა,
მინდორ ბრუნავს ჯარას გითა;
ერთი ცაში შაისრია,
ჯერაც არ მოსულა ცითა.

შემდეგ:

ა მაგ ჯარის სიალუმა
ორბი მაღლა შააფრინა;
ისარი ჰკრა ტარიელმა,
მხრებზე სისხლი მაადინა,
ჩამოხდა და მხრები აჭრა,
ბოძვლის გასაკრავად მინდა.

აღარ გავაგრძელებთ ამ შედარებასა. აქ ბევრს განსხვავებას და ცვლილებას ვხედავთ და მაგას გარდა რაღაცა ახალი სახელები გვესმის: ადემ თუ ედემ და ომარი თუ ომანი. ეს ზემოხსენებული ადგილები იმის დასამტკიცებლად მომყავს, რომ ხევსურეთში და იქნება სხვაგან მთა ადგილებსა და ბარშიაც, არის ვეფხვის-ტყაოსნის ადგილები შეცვლილი ხალხის კილოზე, მაშასადამე, რუსთველისა-კი არ არის, როგორც დაბეჭდილშია; მართალია, საფუძველი რუსთველის ლექსებია, მაგრამ გადაკეთებულია. ამასთან უნდა მოვიხსენოთ, რომ ადგილები ძალიან არეულ-დარეულია.

რაც უნდა იყოს, დიდად საჭიროა შეკრება ამ ზეპირის სახალხო ვეფხვის-ტყაოსნისა. დიდს სამსახურს გაუწევს ქართულ მწერლობას და სახალხო პოეზიასა, ვინც შეიძლებს ადგილობრივად შეჰკრიბოს, რასაც მეფანდურეები მღერიან, ანუ უმღერლად, მოთქმით ამბობენ. ვეფხვის-ტყაოსანს ეძახიან „ტარიელის ლექსს“. შეგვიძლიან დავასახელოთ ხევსურეთის სოფლები, სადა იციან ეს ტარიელის ლექსი: ხახმატი, ბუზუგური. გაგვიგონია, რომ სოფელ ბუზუგურში „ტარიელის ლექსი“ სრულად იცისო ჯუღულა ჯამრული შვილმა გოგოჭურმა და

---

შეხუთვილი დარდისა და ვარმისაგან, რომ აჩქამებაც არ ძალ-უძს, სხვა მნიშვნელობა ამ ჩვეულებას არა აქვს. თვით ფიცრის მიფარება სარკმელში სინათლის მოსპობაა, — ეხლაც ქართველობას ჯალაბობის წევრის სიკვდილი სინათლის მოსპობად მიაჩნია...

რიგის გადახდას და შესრულებას დიდს ყურადღებას აქცევენ. ხალხის აზრით, რიგი მიუცილებლად მიცვალებულს სულეთში მიუვა, ესიამოვნება და თუ ასეა, აბა ხევსური რაღას დაჰზოგავს!.. ღარიბი ხევსური ამ მრავალ გვარ რიგს ვერ გაუძლევბოდა, რადგანაც თვითეულს რიგს ხარჯი დიდი სჭირდება, მაგრამ შეღავათს ჰპოვებს ნათესავების დახმარებაში, მეზობლების შესაწევარში. გარდა ამისა, ზოგიერთა რიგის გადახდა სოფელში საერთოდ იციან და ეს დიდი სარფაა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, ჩვეულების ძალით, ზოგს რიგს მაშინ გადიხდიან ხოლმე, როცა შეძლება და გარემოება ხელს შეუწყობს, თუმცა-კი თავიდამ რიგის აცდენა, როგორც ქართლში, ისრე აქაც დიდი სირცხვილია. — პირველი რიგი ხომ „სამარხია“, „ცრემლობა, როცა საკლავის დაკვლა არ შეიძლება; „სანთლობა“ მეორე რიგია (პირ-იქით ცრემლობა და სანთლობა ზედი-ზედ ორ დღეს იციან), და ამ რიგში უეჭველად საკლავი უნდა დაჰკლან, სამარხო საჭმელი არ შეიძლება: თვითეულს დამსწრეს, დიდსა და პატარას, მამროვანს თუ მდედროვანს, სანთელი უნდა მიეცეს, ორსულს დიაცს, „ულონოს“ ორი სანთელი, რადგანაც ორიანადი არის. გოდება და ტირილი ამ სანთლობას სავალდებულოა, როგორც „ცრემლობას“. მწუხარების შემდეგ, რასაკვირველია, ტაბლა უნდა იკურთხოს და სულის ხუცი „სახელს დასდებს“ მომზადებულს სასმელ-საჭმელს. აი თვით ეს „სახელის დადებაც“, რომელსაც აბრწყინვალებს სხივი სანთლებისა: — „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა! ღმერთო, შენ არ მოგეხსენების დიდებისა და მადლის მეტი; ღმერთო, კაციც შენ გეძახს, სულიც შენ გებარების, შენგან არს განაჩენი კაცი, ყოველი სამართალი, ბარება სულისა, ხვეწება კაცისა, საც ქრისტე პურობს, ანგელოზ ჟამობენ, ცოდვიან ნანობენ, მართალ გაისვენებენ, სული წმინდა მოიხსენებს (აქ უნდა ჩაერთოს მიცვალებულის სახელი); საცა შენ ხარ, შენი სულ მოიხსენებს, შენამც გერგების ეს ტაბლა, შენსამს სულს ამთავრების, ცოდვასაცა გხდის, ენით ნათქვამსა, ხელით ნაქნარსა, თვალით ნანახს, ყურით განაგონარსა. შემოვიდა ანგელოზი ფეხითა ქრისტესითა, ქრისტეო ღმერთო, დასწერე ჯვარი სულს იმასადა, სუფრას ამას. დედაო დიდისა მეუფისაო, ცაო ქერებულო, ღრუბელო ნათლისაო, ხატო მისაო, სამართალო ღვთისაო, აცხონე სული მისა, შეგინდოს ქრისტიანობის გამჩენმაო“... ხალხი დასხდება და დაიწყებს სმა-ჭამას. ბევრად სანუკბარო არაა ეს ჭამა, თუ არ დავივიწყებთ, რომ „სანთლობას“ უფრო მჭვარტლიან ლორს ხმარობენ და უსუფთაო, ბინძურის ხევსურის ხელით გაკეთებული ამ ლორის წვენი რაც იქნება — თითონ თქვენ წარმოიდგინეთ... სასმელი ბლომად არის, — მიცვალებულის გვარეულობა გამოხდის ხოლმე შესაწევრად არაყს, ლუდს. მხოლოდ მშვენიერი და მართლაც რომ გემრიელი ხევსურული ლუდი ლაზათს, შნოს აძლევს ამ „სანთლობას“.

როგორც გაკვრით შევნიშნეთ, ხევსურმა დიდის მწუხარებით იცის მიცვალებულის გლოვა. გარეგანი ნიშანი ამ გლოვისა იმით იხატება, რომ მამროვანმა „თავი უნდა გამოუშვას“, წვერი დაიყენოს, თავის ფერად-ფერად აჭრელებული და ზიზილ-პიპილებით ხელოვნურად მორთულ-მოქარგული ტალავარი გადაბრუნებული უნდა ჩაიცვას; ერთის სიტყვით, ტალავარს მწუხარების ფერი უნდა ედვას, ძაძას მოაგონებდეს; ესევე სავალდებულოა მდედროვნისათვისაც[4]). „თავ-მოსაპარსო“ სწორედ ძაძის ახდის რიგია. მას წინ უძღვის „წელთავება“. თუმცა წესი და ჩვეულება თხოულობს, რომ „წელთავება“ წლის თავზედ გადაიხადონ, მაგრამ მომზადება დიდი უნდა და ამიტომ, შეიძლება, მეტმა დრომაც გაიაროს. ზოგს ადგილას და უმეტესად პირ-იქით „წელთავებს“ და «თავ-მოსაპარსოს» ერთს დღეს გადაიხდიან ხოლმე, პირველს სადილად, მეორეს ვახშმად. რამდენიმე მიცვალებულის პატრონი-ოჯახი ერთად მოემზადებიან, ხარჯს საზოგადოდ იზმენ, სოფელს გაინაწილებენ — სასმელ-საჭმელი ცოტა დაგვეჭირდებაო; ეს ჩვეულება გონივრულიც არის, რადგანაც ამ ორ რიგში მიუცილებლად მთელი სოფელი უნდა დაესწროს, გარეშე ნათესავების გარდა. თავ-მოსაპარსოს დროს ყველამ თავი უნდა მოიპარსოს და ეს ხევსურისათვის ხომ დიდი რამეა, რადგანაც თავის მოპარსვა, თავზედ თმის მრგვლად გაპარსვა, მარტო ქოჩორის დაყენება და სხ. მას ძრიელ უყვარს და საკეკლუცო ვარჯიშობად მიაჩნია. მეტადრე „თავ-მოსაპარსოს“ გადახდა დიდის ამბით იციან, — ქალები და კაცები შუშპრობენ, ფანდურზედ დამღერიან სალხინო ლექსებს; კოცნას და ერთი-ურთის ხვევნასაც-კი არა თაკილობენ, თუმცა უამისოდ ხევსური, კაცია თუ ქალი, მეტად მორცხვია და არშიყობაში განუვითარებელი. ხალხიც შეჰხარის ამ უბიწო ლხინს, — „სამგლოვიარო ღმერთმა აგხადოსო, მარხე ნულარ მოგცესო. ნურც თავის სახლში, ნურც და-ძმა-მოკეთეშიო“, ასე ულოცავს სოფელი თავ-მოპარსულებს. „თავ-მოსაპარსო“ დილამდე გასტანს ხოლმე, თუმცა არც დილაზე თავდება ეს სალხინო ნადიმი: «სანაყრო დილა» მიუცილებლად საჭიროა. ამ დილას სანაყრს იმიტომ უწოდებენ, რომ თვითეულმა მიპატიჟებულმა თავ-მოპარსულ ოჯახს სამი ქადა ან ხაჭოპური უნდა მიუტანოს და იქ ერთად დანაყრდნენ.

ნ. ურბნელი

[4]) ხევსურულ ქალსაც ფერადად მოქარგული შალის ტალავარი აცვია; მეტადრე ჯუბა და ფარაგნი (მძივებით მორთული და ფერადის ძაფით მოქარგული გულზედ ასაფარებელი საცმელია) მშვენივრადა აქვს მორთული. თავზედ კეკლუცურად მანდილი ახვევია. თმა კარგი აქვთ, გრძელი, მრავალ ნაწნავებად იწვნენ და ირგვლივ შუბლზედ იხვევენ, ზოგან-კი იკრეჭენ. ხევსურული ქალი თავს ძროხის შარდით იბანს — თმას გააკეთებსო... იქნება ასეც იყოს, მაგრამ ზინტლის სუნი უდის და ეშხი ეკარგება თავის მორთულობას.

დამტკიცებით-კი ვერ ვიტყვით, მართალია ეს თუ არა. სახმატში-კი იციან და ზემო მოყვანილი ნაწყვეტი ლექსები სახმატლების თქმით დავიწერია.

ერთი შენიშნვა უნდა გავიმეოროთ შემკრებთათვის, რაც ერთხელ „ივერიაშიაც" იყო მოხსენებული. პროგრამმა ხალხის ნაწარმოების წერასათვის ამ რამდენისამე წლის წინად იყო დაბეჭდილი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან"; ეს საჭირო მხედველობაში იქონიონ. სხვათა შორის დიდად საჭირო აღნიშნვა იმის სახელისა და გვარისა, ვის სიტყვითაც დაწერილია, რომელ სოფლიდამ არის მთქმელი მეფანდურე, თთვე და წელიწადი. ეს შენიშნვები ძვირფასია მომავალ შემკრებთათვისაც, რომელთაც ხელ-მეორედ მოვლა შეუძლიანთ იმ სოფლებში და იმ კაცების პოვნა, რომელთაც უთქვამთ პირველ შემკრებისათვის. ეს დასახელება ამას გარდა თვით სახალხო თქმულებათა დაფასებასა და გარკვევას, გამოკვლევას უშველად ეჭირვება. სამწუხაროდ, ხშირად ეს საჭირო ცნობა აკლია ახლანდელ შეკრებილ ლექსებსა და, სხვათა შორის, ძვირფასს ფშაველურ ლექსებს ბ-ნ ხიზანაშვილის მიერ შეკრებილს.

ტარიელის ლექსების ანუ ვეფხვის-ტყაოსნის ლექსების შეკრება, როგორც ვთქვით, ძვირფასი შრომა იქნება. მისი გამოცემა დაგვანახვებს, რამდენად მიღებულია ხალხში რუსთველის ვეფხვის-ტყაოსანი, როგორ შეთვისებულია და რუსთველის გენიოსობას რა დაუმატა ან როგორ შესცვალა იგი ერის პოეტურმა ნიჭმა და გენიოსობამ. თუ მართლა მთელი პოემა აღმოჩნდა ხალხის მიერ თავისებურად გადაკეთებული, ეს საგანი იშვიათ მოვლენად ჩაითვლება მთელს მსოფლიო პოეზიაში. ამ გვარი ნიმუში ორია: ძველს საბერძნეთში ომიროსის „ილლიადა" და ახალს იტალიაში ტორკვატო ტასსოს „დახსნილი იერუსალემი".

პ. უმიკაშვილი

## წვრილი ამბები

— უკანასკნელი რომანი ემილ ზოლასი „დედამიწა" ბიუსნახს ხუთ-მოქმედებიან დრამად გადაუკეთებია.

— ბოსტონში პროფესორად ამოურჩევიათ ქ-ნი ჩერჩი, რომელსაც ექიმობის მოწმობა აქვს და ევროპის საუკეთესო სასავადმყოფოებში დიდხანს უმსახურნია.

— 17-დგან 25 სექტემბრამდე მილანში დანიშნულია საერთა-შორისო რკინის გზის კონგრესი. ამ კონგრესზედ ოფიციალურ წარმომადგენელთა გარდა რუსეთიდგანა და ამერიკიდგან კერძო რკინის გზის გამგეობათაგან 140 დელეგატი აპირებს დასწრებას.

— წრევანდელ მაისის თთვეში სხვადა-სხვა ზღვებში დაღუპულა 10 ინგლისის ცეცხლის გემი, ამერიკისა—2, გერმანიისა—1, საფრანგეთისა—3, ბრაზილიისა—1, ნორვეგიისა—1 და რუსეთისა—1. ამავე თთვეში აფრიანი გემი დაღუპულა: ინგლისისა—26, გერმანიისა—13, ამერიკისა—10, დანიისა—9, საფრანგეთისა—9, ნორვეგიისა—7, შვეციისა—5, იტალიისა—3, პორტუგალიისა—3, ჰოლანდიისა—2, რუსეთისა—2 და ავსტრიისა—1. სულ აფრიანი და ცეცხლის გემი დაღუპულა მაისის თთვის განმავლობაში 109.

— გაზ. „Berliner Rundschau"-ი ამბობს, რომ ფრიდრიხსრუეს პარკი, რომელიც თავად ბისმარკს ეკუთვნის, დღეიდგან საზოგადოებისათვის დახურულია და შიგ აღარავის უშვებენ. ბისმარკს იმიტომ გაუცია ასეთი ბრძანება, რომ დიდძალი ხალხი დაიარებოდა თურმე ბაღში და უწყალოდ ამტვრევდნენ შტოებსა და ყვავილებსა. თავადს ბისმარკს უნახავს ამას წინად, რომ რამდენსამე ქალს ერთის ხისაგან შტო მოუჭრიათ. მაშინვე მიახლოვებია და უთქვამს:

„— Mesdames, ყველამ, ვინც ამ პარკში შემოდის, თან რომ რამდენ-რამდენიმე ფურცელი წაიღოს, ბოლოს ისე გაიფურცლება ეს ბაღი და დაცარიელდება, როგორც ჩემს თავზე თმაო."

მაგრამ პარკში შტოების მტვრევა და გარდების გლეჯა მაინც არ დაუშლიათ და ამიტომ კანცლერს ბრძანება გაუცია, ნუღარავის შეუშვებთო.

— „Pall-Mall Cazette" გვაცნობებს სტატისტიურ ცნობებს, თუ რამდენი მცხოვრებელია ევროპის დიდს ქალაქებში. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ყველაზედ მეტი მცხოვრებელი ჩინეთშია. ამ სახელმწიფოს 4 ქალაქში თითოში მილლიონზე მეტი მცხოვრებელია (კანტონში—1½ მილლიონი და ჩან-ჩუფუსა, სიონსა და ტნოჩო-ფუში-კი თითქმის თითო-თითო მილიონი) და რვა ქალაქში 600,000 მეტი მცხოვრებელია თითოში (ამ რიცხვში ტიენტზინში 950,000 მცხოვრებელია და პეკინსა, განგ-ჩეონს, ვუჩანგსა და ტასჩინგტუფუში 800,000 მცხოვრებელი თითოში). მცხოვრებელთა რიცხვი ლონდონში არის 3.955,819 სული; პარიჟში—2.269,023; აიტჩიში (იაპონიაში)—1.332,050; ნიუ-იორკში—1.400,000; ბერლინში—1.122,330; ფილადელფიაში—850,000; ტოკიოში (იაპონიაში)—987,887; სარტამში (იაპონიაში) 962,717; ჩიკაგოში—715,000; ბრუკლინში—771,000; კალკუტაში—760,964; ვენაში—726,298; პეტერბურგში—766,964; სტამბოლში—700,000, და მოსკოვში—611,974 მცხოვრებელი. დანარჩენს დიდრონს ქალაქებში-კი მცხოვრებელნი 600,000 სულზედ ცოტაა.

## განცხადები

გაზეთებში და ჟურნალებში განცხადებათა დაბეჭდვის ჩვეულება სულ ყველაზედ პირველად ინგლისში შემოიღეს იქაურ წიგნის მაღაზიების პატრონებმა. პირველად განცხადება დაბეჭდილი იყო გაზეთ „Mercurius politicus"-ში 1652 წელს. ამ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ დაიბეჭდა და გამოვიდა საგმირო პოემა ოლივერ კრომველლზეო. ამის შემდეგ დაიწყეს გაზეთებში განცხადებათა ბეჭდვა დაკარგულს ნივთეულობაზედ. როცა კრომველის დროს ინგლისში ფოსტის ეტლები შემოიღეს, გაზეთებში აცხადებდნენ ხოლმე ეტლების სიარულის დროს და ადგილების ფასს. 1658 წელს ფოსტის ეტლი ლონდონიდგან იორკამდე ოთხს დღეს დადიოდა; დღეს ამავე მანძილს ოთხს საათში დადიან. საკვირველი ის არის, რომ გზის ხარჯი მაშინდელია ეხლაც. მილტონმა გაზეთში გაასწორა ის შეცდომანი, რომელიც გაჰპარვოდა თავის თხზულებაში რესპუბლიკაზე. კოროლ ჩარლზმა გამოაცხადა „Mercurius"-ში, რომ ჩემი საყვარელი ძაღლი დაიკარგაო. ეს განცხადება მეტად ლამაზად შედგენილი განცხადებაა და უეჭველია თვით კოროლის შეთხზული იქნება. აი ამ განცხადების შინაარსი: „ჰკვლავ უნდა გამოვაცხადოთ, რომ დაიკარგა მოკლე კუდიანი შავი ძაღლი. ძაღლი ეკუთვნის მის უდიდებულესობას. ეჭვი არ არის, რომ ეს ძაღლი მოუპარავს ვისმე, თორემ ძაღლი არსად წავიდოდა და თავის პატრონს არ მოშორდებოდა, რადგან ინგლისში არ არის დაბადებული და გაზრდილი. ვინც იპოვნის, შეუძლიან სასახლეში გადასცეს ვისაც შეხვდეს, რადგან სასახლეში ამ ძაღლს უფრო კარგად იცნობენ ყველანი, ვიდრე ქურდსა. ნეტა რაღის მოიშლიან კოროლის გაქურდვას?! განა კოროლს ნება არა აქვს, რომ ძაღლი იყოლიოს? მხოლოდ ამ ძაღლს უჭირავს ერთად-ერთი ისეთი ადგილი სასახლეში, რომლის დაჭერასაც არავინ არის მოწადინებული, და ამიტომ ძნელად თუ იმის მაგივრობა რომელმამე კაცმა გამიწიოს". ამის შემდეგ უფრო ხშირ-ხშირად დაიწყეს გაზეთებში განცხადებათა ბეჭდვა და დღეს ხომ ისეა გავრცელებული, რომ განცხადებათა მეტი თითქმის რომ აღარა იბეჭდება-რა გაზეთებში.

**

მეტად ახირებული სტატისტიური ცნობები ამოვიკითხეთ ერთს საფრანგეთის გაზეთში „ოჯახის ბედნიერებაზედ" და არ შეგვიძლიან ესეც არ გადავცეთ ჩვენს მკითხველებს. საფრანგეთში 872,500 ჯვარ-წერა და ქორწინება მომხდარა. ამ რიცხვში 1,362 ცოლი გაჰქცევია ქმარს და საყვარელთან წასულა; 2,361 ქმარი გაჰქცევია თავის ანჩხლ მეუღლეს; 4,120 ცოლ-ქმარნი ნება-ყოფლობით გაყრილან მშვიდობიანად; 101,023 ცოლ-ქმარნი სულ ჩხუბსა და უსიამოვნობაში ატარებენ სიცოცხლეს; 162,320 მეუღლენი მშვიდობიანადა ცხოვრობენ, თუმცა მათ შორის სიყვარულის ხსენებაც არ არის; 510,132 მეუღლენი ერთად ცხოვრობენ და სრულიად არა ჰზრუნავენ ერთმანერთის საქციელსა და ყოფა-ცხოვრებაზე; 1,102 ცოლ-ქმართ ერთმანერთი არ უყვართ, მაგრამ საზოგადოებას ისე აჩვენებენ თავს, თითქოს ბედნიერი ცოლ-ქმრობა გვქონდესო; 135 ცოლ-ქმარნი ცხოვრობენ კეთილ-განწყობითა და მშვიდობიანად, და მხოლოდ 9 მეუღლენი მოიპოვებიან ამ 872,500-ში, რომელთაც ერთმანერთი უყვართ და ბედნიერები არიან!..

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ პატარა შენიშნვას ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში.

ფოსტალიონის საყურადღებოდ: გაზეთი „ივერია" გამოვიწერე ორის თთვის ვადით კაჭრეთის სადგურზე. ვფიქრობდი, კვირაში ორჯელ მივიღებ გაზეთის ნომრებსა-მეთქი, მაგრამ საუბედუროდ იმედი გამიცრუვდა: არამც თუ კვირაში ორჯელ, თთვეში ერთხელ ძლივს მივიღე. გამიკვირდა: რა მიზეზია, რომ ფოსტა კვირაში ორჯელ გამოივლის ხოლმე კაჭრეთზე და მე თთვეში ერთხელ ძლივს მომდის ხოლმე გაზეთი-მეთქი. როცა ბანდეროლს დავაკვირდი, მხოლოდ მაშინ მივხვდი დაგვიანების მიზეზსა. თურმე ეს ნომრები ჯერ კახში მიუტანიათ, მერე ისევ უკან დაუბრუნებიათ სიღნაღზე და შემდეგ კაჭრეთის სადგურზე მოუტანიათ.

ბ-ნო ფოსტალიონო! თუ არ იცით კაჭრეთის სადგური, რომელზედაც კვირაში ორჯელ გაივლით და გამოივლით ხოლმე, მე გასწავლით: კაჭრეთის სადგური იმყოფება კაკაბეთის სადგურისა და სიღნაღს შუა, სიღნაღიდგან ოც-და-ერთ ვერსტზეა და კაკაბეთიდგან ცამეტზე. მიეცით თქვენს თავს ცოტაოდენი შრომა და ინებეთ თავის დროზე ნომრების ჩაბარება კაჭრეთის სადგურში.

თ. მთავრიშვილი

14 აგვისტოს
ს. კაჭრეთი

# დეპეშა

17 აგვისტო

სევასტოპოლი. გუშინ მობრძანდა აქ დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე.

პარიჟი. გამოძიებით აღმოჩნდა, რომ ორს დაბალის წოდების ჯარის-კაცს, რომელნიც უმთავრესს შტაბში იყვნენ მწერლებად, მესამე კაცისათვის შეუტყობინებიათ საცდელად ჯარის სამხედრო ფეხზედ დაყენების გეგმა. ამიტომ ეს ორი დაბალის ხარისხის ჯარის-კაცი სამხედრო სამართალში იქმნებიან მიცემულნი.

ბერლინი. რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატულმა დასმა გამოსცა ცირკულიარი და იწვევს თავის დასის წევრთა კრებაზედ, რომელიც შესდგება საზღვარ-გარედ, რათა კრების არჩევნებს ხელი არ შეუშალონ. ადგილი და დრო კრებისა ცირკულიარში ნაჩვენები არ არის.

18 აგვისტო

სევასტოპოლი. გუშინ აქ დიდის მთავრის თავად ალექსი ალექსანდრეს ძის თანადასწრებით ზღვაში ჩაუშვეს „კანონერკა" „ტერეცი".

პარიჟი. გაზეთები ამბობენ, რომ საფრანგეთის უფროსი ელჩი სოფიაში თავს ანებებს ამ ქალაქს და უვადოდ მიდის სხვაგანაო.

პეტერბურგის ბირჟა, 11-ს აგვისტოს
ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 27 |
| ტამოჟნის კუპონები | — › | — › | 180 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — › | — › | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — › | — › | 276½ |
| — მეორისა | — › | — › | 256 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — › | — › | — › |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

აგვისტო 31 დღით არის.

**19 დღე ოთხშაბათი.** წმ. მოწ. ანდრია სტრატილატისა. კათოლ. რუფინისა, ბენინისა და ლუდოვიკისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-13 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—24, ჩადის 6—36. მთვარე 13 დღისაა.

**20 დღე ხუთშაბათი.** წინ.-მეტყ. სამუილისა, მოწ. სევერისა და მემნონისა. კათოლ. სამუილისა და მარიანასი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—25, ჩადის 6—35. მთვარე 14 დღისაა.

**21 დღე პარასკევი.** წმ. მოწ. თადეოსისა. კათოლ. ტიტისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—26, ჩადის 6—33. მთვარე 15 დღისაა.

**22 დღე შაბათი.** მოწ. აღათონიკესი, ქალწ.-მოწ. ევლალიასი. კათოლ. სიმფერიონასი და ტიმოთესი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—27, ჩადის 6—31. მთვარე 16 დღისაა.

**23 დღე კვირა.** მოწ. ლუპპასი, ირინე ეპისკ. ლიონისა. კათოლ. ფილიპპესი და ლეოკადიისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—28, ჩადის 6—30. მთვარე 17 დღისაა.

**24 დღე ორშაბათი.** მღვდ.-მოწ. ევტიხისა. კათოლ. ბართოლომეოსი და ტერეზიასი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ეიდი-ჰადრი-ხუმი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—29, ჩადის 6—28. მთვარე 18 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა | 3 | › |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | 4 | › |
| მე-3 — | › | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი | 13 | › |
| ცხვრის ხორცი | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა | › | › |
| › 2 › | › | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

კერძო განცხადებანი

# ისყიდება

დუშეთის მაზრის სოფელს მჭადიჯვარში: ძველი ღვინო, ხორბალი, ქერი, თივა, ბზე და ღორი. (10—4)

Дозв. цен. Тиф. 18 августъ, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.